დმანისის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება

ბრძანება:**ბ108.1082221515**

თარიღი:**03/08/2022**

დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისათვის

ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა.“, ,,ე.ე.“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 117-ე მუხლის, მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, საქართველოს ორგანული კანონის ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის Nგ.109.109222004 განკარგულების, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N003695422, N003695222, N004458122, N004456122, N004465722 დასკვნების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დმანისის მუნიციპალიტეტის ს. ახაში მდებარე სასოფლო- სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებაზე დანართი N1-ის შესაბამისად.

2. დანართ N1-ში მითითებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) პრივატიზების პირობად განისაზღვროს 1 000 000 (ერთიმილიონი) ლარის ინვესტიცია (ჭაბურღილის, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და დასასვენებელი ადგილის მოწყობის, სოფლის-მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით) 5 (ხუთი) წლის განმავლობაში ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

3. ინფორმაცია ელექტრონულ აუქციონის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე WWW.eauction.ge.

4. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს 2022 წლის 03 აგვისტოდან 2022 წლის 08 აგვისტოს 17:00 საათის ჩათვლით.

5. აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი უნდა გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

6. წინამდებარე ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ქონების შეძენის სრული ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

7. აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 22 (ოცდაორი) კალენდარული დღის ვადაში.

8. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებისას, დადგენილ ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება მუნიციპალიტეტის ქონებაზე, ხოლო ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

9. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

10. ბრძანება ძალაშია 2022 წლის 02 აგვისტოდან.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოს დმანისის მაგისტრატ სასამართლოში (ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ.N42).

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი